სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 ივლისი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/56

ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, ბსუ-ს წესდების მე-13, 29-ე და 37-39-ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 იანვრის №06-01/10 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს საარჩევნო დებულების“, ,,ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის N06-01/48 დადგენილების, ბსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათების (MES 9 24 0000886925, 19.072024 და MES 6 24 0000893375, 22.07.2024), ბსუ–ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებული, 2024 წლის 22 ივლისს ჩატარებული ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის სხდომის ოქმის (№06-02/15, 22.07.2024) და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/48 დადგენილებით გამოცხადებული და 2024 წლის 22 ივლისს ჩატარებული ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გათვალისწინებით **ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე არჩეული იქნეს ბსუ-ს პროფესორი მერაბ ხალვაში** (არჩევნებში მონაწილე აკადემიური საბჭოს 10 წევრი; მოპოვებულ ხმათა რაოდენობა - 10), ბსუ-ს რექტორის არჩევის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ძალაში შესვლის დღემდე ვადით, მაგრამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩევიდან - **2024 წლის 22 ივლისიდან 6 თვის ვადით.**
2. ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ბსუ-ს პროფესორ მერაბ ხალვაშის არჩევის შესახებ სამართლებრივი აქტი სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. წინამდებარე დადგენილება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდეს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ყველა ფაკულტეტს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. წინამდებარე დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს სხდომის
თავმჯდომარე, პროფესორი **მამია ფაღავა**